ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ. ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05

19 ნოემბერი 2014 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა №108

ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების
მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე
საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის შესახებ

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულების „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე

საკრებულო ადგენს:

1. შეიქმნას ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია, თანახმად „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულებისა, შემდეგი შემადგენლობით:

- მალხაზ ჩხიკვაძე -ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

- გოდერძი გოგიშვილი -ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

- ზვიად მამალაძე -ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

- ბექა შენგელია -ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი;

- მალხაზ წიქორია - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურის ზედამხედველობის განყოფილების სპეციალისტის დროებით მოვალეობის შემსრულებელი იერსახისა და დასუფთავების საკითხებში;

- ირაკლი მეგრელიშვილი - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის და მშენებლობის განყოფილების სპეციალისტის დროებით მოვალეობის შემსრულებელი მშენებლობის საკითხებში;

- გრიგოლ ხურციძე - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამეგრელო-გურია ზემოსვანეთის მომსახურების ცენტრის სპეციალისტი.

2. დაინიშნოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის თავმჯდომარედ მალხაზ ჩხიკვაძე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ - ზვიადი მამალაძე.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ზაალ მამალაძე